



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030151186213821

№ 01-457/ო

16 / ნოემბერი / 2021 წ.

**„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად
განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ო“ ქვეპუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ადმინისტრაციული და სტრუქტურული ერთეულების შენობა-ნაგებობებსა და ტერიტორიაზე, გარდა სპეციალურად, მანიშნებლით მითითებული, გამოყოფილი ადგილებისა, აკრძალოს თამბაქოს მოწევა.

2. დაევალოს:

ა) სამინისტროს ადმინისტრაციის მატერიალური უზრუნველყოფის და ლოჯისტიკის სამმართველოს (გ. გიორგობიანი) ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ შენობა-ნაგებობებსა და ტერიტორიაზე, ყველა შესასვლელსა და სხვა თვალსაჩინო ადგილას განათავსოს თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებული წესები, შესაბამისი წარწერა და ნიშანი თამბაქოს მოწევის აკრძალვის თაობაზე, აგრეთვე, იმ ფიზიკური პირის/დანესებულების საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და სხვა ინფორმაცია, რომელთან დაკავშირებაც იქნება შესაძლებელი თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში;

ბ) სამინისტროს ადმინისტრაციის მასმედიასთან ურთიერთობის და ღონისძიებების დაგეგმვის სამმართველოს (ნ. თევდორაშვილი) და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს (გ. წონკოლაური) ამ ბრძანების განთავსება სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.moh.gov.ge;

გ) სამინისტროს ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამმართველოს (ნ. ალანია) სამინისტროს თანამშრომელთა ინფორმირების მიზნით, აღნიშნული ბრძანება ხელმოწერიდან ერთი თვის განმავლობაში გამოაკრას საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილზე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის -2 სართულზე.

3. აღნიშნული ბრძანების შესრულება სავალდებულოა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული ყველა თანამშრომლისათვის (როგორც ცენტრალური აპარატის, ისე მისი სისტემის დანესებულების თანამშრომლებისათვის).


4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ ბრძანების მოთხოვნების დარღვევისათვის, დამრღვევი პირის მიმართ გამოყენებული იქნება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომები.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 მაისის №01-106/ო ბრძანება.

6. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

ეკატერინე ტიკარაძე